

შპს „ვესტას ჯორჯია“

მცირე და საშუალო საწარმოების
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	2
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი ოპერაციები	6
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა	6
3. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში	8
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
5. ფული და ფულის ეკვივალენტები	9
6. საწესდებო კაპიტალი	9
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10
8. შემოსავალი	10
9. რეალიზაციის თვითღირებულება	10
10. გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	10
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10
12. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები	11
13. ნაშთები და ტრანსაქციები მეკავშირე მხარეებთან	11
14. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ	11

შპს „ვესტას ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები ნაჩვენებია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
მარაგები		650,118	399,313	558,244
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	1,996,965	1,959,587	2,163,836
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	23,046,039	20,190,997	16,940,481
სულ მიმდინარე აქტივები		25,693,122	22,549,897	19,662,561
სულ აქტივები		25,693,122	22,549,897	19,662,561
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	6	68,215	68,215	68,215
გაუნაწილებელი მოგება		16,827,970	14,366,158	12,095,809
სულ კაპიტალი		16,896,185	14,434,373	12,164,024
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	8,538,040	7,835,314	7,331,535
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		258,897	280,210	167,002
სულ მიმდინარე ვალდებულებები		8,796,937	8,115,524	7,498,537
სულ ვალდებულებები		8,796,937	8,115,524	7,498,537
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		25,693,122	22,549,897	19,662,561

გამოსაშვებად დამტკიცებული და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 14 აგვისტოს:

ჰანს მარტინ სმითი
გენერალური დირექტორი

შპს „გესტას ჯორჯია“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(თანხები ნაჩვენებია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	8	2,827,270	2,897,685
რეალიზაციის თვითღირებულება	9	(201,295)	(407,731)
მთლიანი მოგება		2,625,975	2,489,954
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	10	(93,473)	(91,446)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(142,798)	(94,925)
საოპერაციო მოგება		2,389,704	2,303,583
ვალუტის გაცვლით მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა		72,108	(33,234)
მოგება მოგების გადასახადამდე		2,461,812	2,270,349
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლიური მოგება		2,461,812	2,270,349

გამოსაშვებად დამტკიცებული და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 14 აგვისტოს:

ჰანს მარტინ სმიტი
გენერალური დირექტორი

შპს „გესტას ჯორჯია“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები ნაჩვენებია ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი 2018	68,215	12,095,809	12,164,024
სულ წლიური მოგება/(ზარალი)	-	2,270,349	2,270,349
31 დეკემბერი 2018	68,215	12,095,809	12,164,024
სულ წლიური მოგება/(ზარალი)	-	2,461,812	2,461,812
31 დეკემბერი 2019	68,215	16,827,970	16,896,185

გამოსაშვებად დამტკიცებული და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 14 აგვისტოს:

ჰანს მარტინ სმიტი
გენერალური დირექტორი

შპს „გესტას ჯორჯია“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები ნაჩვენებია ქართულ ლარში)

შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ნაღდი ფული	3,276,994	4,065,857
მომწოდებლებისთვის გადახდილი ნაღდი ფული	(279,239)	(181,472)
გადასახადების გადახდა	(495,478)	(477,263)
დაქირავებულ პირთათვის გადახდილი ნაღდი ფული	(36,577)	(59,662)
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული ნაღდი ფული, წმინდა	2,465,700	3,347,459
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა	-	-
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფული, წმინდა	-	-
წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	2,465,700	3,347,459
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	389,342	(96,944)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	20,190,997	16,940,481
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	23,046,039	20,190,997

გამოსაშვებად დამტკიცებული და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 14 აგვისტოს:

ჰანს მარტინ სმითი
გენერალური დირექტორი

1. კომპანია და მისი ოპერაციები

შპს „ვესტას ჯორჯია“ (კომპანია) დაფუძნდა 2016 წლის 25 თებერვალს და საქმიანობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია და დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის უშუალო დამფუძნებელია „ვესტას სენტრალ ეუროპ ა/ს“, დანია, ხოლო საბოლოო მაკონტროლებელი პირია „ვესტას უინდ სისტემს ა/ს“, დანია.

ქარის ტურბინების მიწოდებისა და მონტაჟის ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ 2016 წელს დაამონტაჟა და კლიენტს გადასცა ქარის ელექტროსადგური. 2017 წელს ძალაში შესული მომსახურებისა და ხელმისაწვდომობის ხელშეკრულების თანახმად, კომპანია საქმიანობს შემდეგი სააბონენტო მომსახურებების მიწოდების სფეროში: გეგმიური და არაგეგმიური რემონტი; გარკვეული სახარჯი მასალების, სათადარიგო ნაწილების, იარაღებისა და აღჭურვილობის მიწოდება; დისტანციური დაკვირვება; ყოველთვიური ანგარიშგება და სხვა.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი 0171, მერაბ ალექსიძის ქ. 12, ბიზნეს-ცენტრი „მეფე დავითი“.

საოპერაციო გარემო - კომპანიის ბიზნეს-საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. საქართველო ამჟღავნებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, მათ შორის შედარებით მაღალ ინფლაციასა და მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო რეგულირება ინტერპრეტაციებით ხასიათდება და სირთულეებს უქმნის საქართველოში მომუშავე პირებს.

გარდა ამისა, 2020 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, მსოფლიოში სწრაფად ვრცელდება ახალი კორონავირუსული დაავადება (კოვიდ-19), რის შედეგადაც, 2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა პანდემიის მდგომარეობა. კოვიდ-19-ის გავრცელების შესაფერხებლად ბევრი ქვეყნის მიერ მიღებული ზომები ბევრ კომპანიას ოპერაციებს მნიშვნელოვნად ურთულებს და დიდი ზეგავლენა აქვს გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. სწრაფად ცვალებადმა სიტუაციამ შეიძლება საგრძნობი ეფექტი იქონიოს მრავალ სექტორში მოღვაწე ბევრ კომპანიაზე, მათ შორის, წარმოების შეწყვეტისა თუ ინფრასტრუქტურის დაზიანების, მიწოდების შეფერხების, პერსონალის კარანტინში გადასვლის, მოთხოვნის შემცირებისა და დაფინანსების მოძიების გართულების გამო ბიზნესის ოპერირების შეფერხების თვალსაზრისით. შესაძლებელია, კომპანია დაექვემდებაროს კოვიდ-19-ის მზარდ ეფექტს გლობალურ ეკონომიკასა და მსხვილ ფინანსურ ბაზრებზე ზემოქმედების გამო. კომპანიის ოპერაციებზე კოვიდ-19-ის ზემოქმედების სიდიდე დიდწილად დამოკიდებულია მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკებზე პანდემიის ეფექტის ხანგრძლივობასა და მის ინტენსივობაზე.

სავალუტო ბაზრის გაზრდილი მერყეობა და სხვა ვალუტების მიმართ ქართული ლარის გაუფასურება, შესაძლებელია, ასახავდეს კორონავირუსით გამოწვეულ ეკონომიკურ შოკსა და პანდემიისა და საქართველოს ეკონომიკაზე მისი ზემოქმედების მომავალი განვითარების მოლოდინებს.

მენეჯმენტი უძღურია, განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რამაც შესაძლებელია ზეგავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, ის ეფექტი, რაც ამ მოვლენებმა შეიძლება მოახდინოს კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ის ყველა ზომას ხმარობს კომპანიის ოპერაციების მდგრადობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) მიხედვით, ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ სააღრიცხვო შეფასებებს და მენეჯმენტის მიერ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში დაშვებების გაკეთებას. მე-3 შენიშვნაში განმარტებულია დიდი სირთულისა თუ შეფასების მაღალი ხარისხის მომცველი ასპექტები, აგრეთვე ის ასპექტები, სადაც დაშვებებსა და შეფასებებს ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით დიდი წონა აქვს.

საპრეზენტაციო ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შესული ერთეულები ასახულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, რომელშიც პირი ოპერირებს („ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (GEL).

სავალუტო ოპერაციები ფუნქციონალურ ვალუტაში კონვერტირდება ტრანსაქციის თარიღში მოქმედი გაცვლითი კურსით. ამგვარი ტრანსაქციების ანგარიშსწორებითა და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს კურსით კონვერტირებით გამოწვეული მოგება და ზარალი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. აღებულ სესხებთან და ფულთან და ფულის ეკვივალენტებთან დაკავშირებული სავალუტო მოგება და ზარალი წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში „ფინანსური შემოსავალი ან ხარჯები“. ყველა სხვა სავალუტო მოგება და ზარალი წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში „სხვა საოპერაციო ხარჯები“ ან „სხვა შემოსავალი“.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უცხოური ვალუტის ნაშთების კონვერტირებისას გამოყენებული გაცვლითი კურსები, უმეტესად, იყო: EUR 1 = GEL 3.2095 (2018: EUR 1 = GEL 3.0701); USD 1 = GEL 2.8677 (2018: USD 1 = GEL 2.6766). ამჟამად ლარი საქართველოს გარეთ თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა არ არის.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებსა და სხვა მოკლევადიან, მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი ვადიანობა სამი თვე ან ნაკლებია.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უდაბლესით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს მასალაზე, აგრეთვე, კონტექსტის მიხედვით, პირდაპირ შრომით დანახარჯებსა და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა მარაგების არსებულ ადგილმდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მარაგების თვითღირებულება დგინდება რიგითობით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას გამოყენებული გასაყიდი ფასი, დასრულებისა და გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება ტრანსაქციის ფასით. შემდგომში მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე გაუფასურების რეზერვი დგინდება, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობებით.

სავაჭრო და სხვა გადასახდელები. სავაჭრო და სხვა გადასახდელები თავდაპირველად აღიარდება ტრანსაქციის ფასით, შემდგომში კი - ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდით.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობა დგინდება კომპანიის წესდებით. ცვლილება კომპანიის წესდებაში შედის მხოლოდ კომპანიის აქციონერის გადაწყვეტილებით.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მისაღებ თანხებს, დისკონტების, დაბრუნებებისა და დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. კომპანია შემოსავალს აღიარებს, როდესაც ამ შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია; როდესაც სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიმღები იქნება კომპანია; და როდესაც კომპანიის თითოეული საქმიანობის შემთხვევაში კმაყოფილება კონკრეტული პირობები, როგორც ქვემოთაა აღწერილი. როდესაც ბარტერულ ტრანსაქციაში მიღებული საქონლის სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ გაზომვა შეუძლებელია, შემოსავალი აისახება დათმობილი საქონლის ან მომსახურების სამართლიანი ღირებულებით.

საქონლის რეალიზაცია. საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება საქონლის მფლობელობასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემის მომენტში, ჩვეულებრივ,

საქონლის გაგზავნისას. თუ კომპანია დათანხმდა, რომ საქონელი კონკრეტულ ადგილას გადაიტანოს, შემოსავალი აღიარდება, როდესაც დანიშნულების ადგილას საქონელი კლიენტს გადაეცემა.

მომსახურების რეალიზაცია. მომსახურების რეალიზაცია აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც მოხდა ამ მომსახურების გაწევა, კონკრეტული ტრანსაქციის დასრულების ეტაპის მითითებით, რომელიც დგინდება მთლიანად გასაწევ მომსახურებებში რეალურად გაწეული მომსახურების წილის საფუძველზე.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დროის პროპორციულ საფუძველზე, ეფექტური პროცენტის მეთოდით.

მიმდინარე მოგების გადასახადი. მოგების გადასახადები აღირიცხება ანგარიშგების თარიღში მთლიანად ან არსებითად ამოქმედებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელი. ცვლილებები ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვარს ყველა პირისათვის გარკვეული საფინანსო ინსტიტუტის გარდა. შეცვლილი მოდელი ითვალისწინებს ნულოვან მოგების გადასახადს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15 პროცენტთან განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. წინა მოდელით 15 პროცენტთან გადასახადი ერიცხებოდა კომპანიის მოგებას დაბეგვრამდე მისი განაწილების სტატუსის მიუხედავად.

ახალი საგადასახადო კანონმდებლობა მოქმედებს 2018 წლის 1 ივნისიდან და ვრცელდება კომპანიაზეც. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ჩათვლილ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებული გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები;
- საქონლის ან მომსახურების უფასოდ მიწოდება ანდა სახსრების გადარიცხვა; და
- წარმოდგენილობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ზღვარს.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადახდილი ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების მომენტში და აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, „მოგების გადასახადის“ მუხლში. მიმდინარე და წინა პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივები აისახება იმ თანხით, რისი მიღებას ან გადახდასაც კომპანია ვარაუდობს საგადასახადო ორგანოებთან.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხულს გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, „საგადასახადო ხარჯების“ მუხლში.

დაბეგვრის მოდელის ცვლილების გამო, ტერმინი „აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზისი“ კარგავს ეკონომიკურ მნიშვნელობას. კომპანიების დაბეგვრის ახალი მოდელით, მსს ფასს-ით განსაზღვრული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები აღარ გამოიყენება.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გამავალი დღე საგადასახადო ორგანოში გადაიხდება კლიენტებისათვის საქონლის მიწოდების მომენტში. შემაჯავლი დღე გამავალ დღე-ში ჩათვლება დღე ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანო ნებას აძლევს კომპანიებს, დღე გადაიხადონ ნეტო საფუძველზე. გაყიდვებთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღე ნეტო საფუძველზე აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. მოთხოვნების გაუფასურების ზარალის არსებობის პირობებში გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მთლიან თანხაზე, დღე-ის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ. გამოშვების შემდეგ ფინანსური ანგარიშგების შესწორების უფლებამოსილება აქვს კომპანიის აქციონერს და მენეჯმენტს.

3. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ინფორმაციაში წარდგენილ რიცხვებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია მენეჯმენტის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემული გარემოებების ქვეშ მიიჩნევა ლოგიკურად. შეფასებების გარდა, მენეჯმენტი ასევე აკეთებს განსაზღვრებებს სააღრიცხვო პოლიტიკის

შპს „ვესტას ჯორჯია“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები ნაჩვენებია ქართულ ლარში)

გამოყენებისას. განსაზღვრებები ახდენენ ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, ხოლო შეფასებებს შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და პასივების საბალანსო ღირებულება მომავალი ფინანსური წლისათვის. ასეთები მოიცავს:

მოგების გადასახადის აღიარება. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა ინტერპრეტაციის მაღალ ხარისხს მოითხოვს, და შესაძლოა ექვექვემ დადგეს საგადასახადო ორგანოს მხრიდან. არასარწმუნო საგადასახადო პოზიციები გადაიხედება ყოველ საანგარიშგებო თარიღში. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადების იმ პოზიციებისთვის, რომლებიც, მენეჯმენტის შეფასებით ნაკლებად სავარაუდოა შენარჩუნდეს საგადასახადო ორგანოს მხრიდან ექვექვემ დაყენების შემთხვევაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისათვის მოქმედი ან არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე. ჯარიმების, პროცენტისა და მოგების გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო თარიღით მენეჯმენტისეული შეფასებით, თუ რა დანახარჯი დასჭირდება ვალდებულებათა გასტუმრებას. რეალური დარიცხვები ამ შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

მეკავშირე მხარეებთან განხორციელებული ტრანსაქციების თავდაპირველი აღიარება. ბიზნესის მიმდინარეობისას კომპანია ტრანსაქციებს ახორციელებს მეკავშირე მხარეებთან. მის ფასს სტანდარტით დადგენილია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. თუ გარკვეული ტიპის ტრანსაქციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, ის, არის ტუ არა ამა თუ იმ ტრანსაქციის ფასი საბაზრო ან არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული, დგინდება შეფასებით. შეფასება ეფუძნება არამეკავშირე მხარეებთან განხორციელებული მსგავსი ტრანსაქციების ფასს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	1,494,368	1,381,584	1,535,017
გადახდილი ავანსები	502,598	578,003	627,104
სხვა მოთხოვნები	-	-	1,716
სულ	1,996,965	1,959,587	2,163,836

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ნაღდი ფული ბანკებში	23,046,039	20,190,997	16,940,481
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	23,046,039	20,190,997	16,940,481

6. საწესდებო კაპიტალი

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ასპროცენტთან წილს ფლობს „ვესტას სენტრალ ეუროპ ა/ს“. საწესდებო კაპიტალი მთლიანად შეტანილია ნაღდი ფულით.

შპს „გესტას ჯორჯია“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები ნაჩვენებია ქართულ ლარში)

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების მიმართ	7,596,110	7,001,870	7,203,676
მიღებული ავანსები	834,889	716,444	23,908
სავაჭრო ვალდებულებები	92,398	109,945	96,815
ვალდებულებები დაქირებულ პირთა მიმართ	7,293	-	-
სხვა ვალდებულებები	7,350	7,056	7,134
სულ სავაჭრო და სხვა გადასახდელები	7,835,314	7,835,314	7,331,535

8. შემოსავალი

	2019	2018
შემოსავალი მომსახურების კონტრაქტებიდან	2,808,088	2,622,702
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	19,182	274,983
სულ შემოსავალი	2,827,270	2,897,685

9. რეალიზაციის თვითღირებულება

	2019	2018
სახელფასო ხარჯები - მომსახურება	(112,710)	(74,608)
პირდაპირი ხარჯები - მომსახურება	(70,191)	(73,885)
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(18,394)	(259,237)
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	(201,295)	(407,731)

10. გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები

	2019	2018
ტრანსპორტირების ხარჯები	(74,216)	(73,602)
მარშრუტის შესწავლის ხარჯები	(19,257)	(17,843)
სულ გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	(93,473)	(91,446)

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
კონსულტაციის ხარჯები	(84,878)	(44,916)
სამიწივინებო ხარჯები	(31,464)	(22,241)
დაზღვევის ხარჯები	(18,585)	(20,074)
საბანკო ხარჯები	(1,504)	(923)
სხვა ხარჯები	(6,367)	(6,772)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(142,798)	(94,925)

12. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და კანონმდებლობის ცვლილების, დადგენილებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების სიხშირით ხასიათდება, რომლებიც არცთუ იშვიათად ბუნდოვანი, წინააღმდეგობრივი და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მხრიდან ინტერპრეტაციის საგანია. გადასახადების გადახდა მოწმდება და ძიებას ექვემდებარება რამდენიმე სამთავრობო ორგანოს მიერ, რომელთაც გააჩნიათ უფლებამოსილება, კომპანიას დააკისრონ მძიმე ჯარიმები, საურავები და პროცენტი. საგადასახადო წელი შემოწმებისათვის ღიაა ოთხი მომდევნო წლის განმავლობაში. თუმცა, ზოგიერთ ვითარებაში საგადასახადო წელი შეიძლება შემოწმდეს უფრო გვიანაც.

აღნიშნული გარემოებები საქართველოში ქმნის სხვა ქვეყნებთან შედარებით ბევრად მაღალ საგადასახადო რისკებს. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მან საკმარისი ოდენობით ასახა საგადასახადო ვალდებულებები შესაბამისი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური დადგენილებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილების მისეული ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, საგადასახადო ორგანოს ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს და მათი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, მათი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება.

13. ნაშთები და ტრანსაქციები მეკავშირე მხარეებთან

დასაფარი ნაშთები მეკავშირე მხარეებთან იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო და სხვა გადასახდელები			
- პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	7,596,110	7,009,887	7,203,676

შემოსავლისა და ხარჯების პუნქტები მეკავშირე მხარეებთან იყო:

	2019	2018
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან		
- პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	19,182	274,983
იმპორტის რეჟიმით შესყიდული საქონელი		
- პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	318,793	136,394

14. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რაც მოითხოვდა 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან ანგარიშგებაში განმარტებას.